# საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

# საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის

## დადგენილება №24/2024
**2024 წლის 10 ივლისი**

**ქ. თბილისი**

**„ფიზიკური მდგომარეობის გამო საარჩევნო სუბიექტების მიერ წარდგენილი პარლამენტის ზოგიერთი წევრობის კანდიდატის მიერ საარჩევნო რეგისტრაციასა და რეგისტრაციის გაუქმებასთან დაკავშირებული პროცედურების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 13 ივლისის №23/2012 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 77-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია **ადგენს:**

**მუხლი 1**

„ფიზიკური მდგომარეობის გამო საარჩევნო სუბიექტების მიერ წარდგენილი პარლამენტის ზოგიერთი წევრობის კანდიდატის მიერ საარჩევნო რეგისტრაციასა და რეგისტრაციის გაუქმებასთან დაკავშირებული პროცედურების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 13 ივლისის №23/2012 დადგენილების (სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, ვებგვერდი – www.matsne.gov.ge, 16/07/2012, 010240060.15.008.016041) პირველი მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ამოღებულ იქნეს.

**მუხლი 2**

ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

**მუხლი 3**

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**კომისიის თავმჯდომარე** **გიორგი კალანდარიშვილი**
**კომისიის მდივანი** **გიორგი ჯავახიშვილი**